



თუ არც ივანიშვილის ფეოდალური მმართველობა და კორუფცია არ მოგწონს და არც ნაცების და მისი სატელიტების მობრუნება და არეულობა არ გინდა გააფერადე N 20 - „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“.

- ეკონომიკური პოლიტიკა -

1. აიკრძალება ადამიანების გამოსახლება საცხოვრებელი ფართიდან, საბანკო პროცენტები შემცირდება 3-დან 6%-მდე.

ამ განაკვეთის ზევით დარიცხული პროცენტები, ჯარიმები, პროცენტის პროცენტი (ე.წ. რეფინანსირებული თანხები) ამნისტირებული იქნება სპეციალური კანონით.

2. გლეხი/ ფერმერი სოფლის პროდუქტებს გაყიდის მსოფლიო საბაზრო ფასებში: თხილი - 11 ლარი, თაფლი - 85 ლარი, მანდარინი - 4 ლარი და სხვ.

დაწესდება საბაჟო და ანტიდემპინგური შეზღუდვები იმპორტზე.

აიკრძალება სამოვრების პრივატიზება, სამოვრები გადაეცემა თვითმმართველობის უვადო და უპირობო სარგებლობაში.

ყველა სოფელი უზრუნველყოფილი იქნება მუდმივი წყალმომარაგებით, ბუნებრივი აირით და ინტერნეტით.

3. საწვავი გაიაფდება არანაკლებ 70 თეთრით (ამ ფასად ყიდულობენ საწვავს სახელმწიფო უწყებები), მედიკამენტები გაიყიდება იგივე ფასებში როგორც თურქეთში (-50%).

4. თბილისში და ბათუმში შეიზღუდება ახალი კორპუსების მშენებლობა, თავისუფალი სივრცეები გამოყენებული იქნება პარკინგის, გზებისა და მწვანე ზონების განვითარებისათვის.

5. თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან კაზინოები და სხვა სათამაშო დაწესებულებები გატანილი იქნება ნაკლებად დასახლებულ ტურისტულ ცენტრებში (მაგ: გუდაურში).

6. გაფართოვდება საგადასახადო შეღავათები: დაწესდება საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმი და შემცირდება დღგ პირველადი მოხმარების პროდუქტებზე.

გადასახადების დეკლარირება მოხდება კვარტალურად, შემცირდება საგადასახადო შემოწმების ხანდაზმულობის ვადა.

- სოციალური საკითხები -

7. 3-შვილიან ოჯახს დაუწესდება შეღავათები ჯანდაცვაზე და განათლებაზე, 4-შვილიან ოჯახს დაუწესდება ფულადი შემწეობა, ხუთ და მეტ შვილიან ოჯახებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი ფართით.

იმავედროულად შეჩერდება სხვადასხვა ქვეყნებიდან ათი ათასობით მიგრანტის მიღება და მათზე ბინადრობის მოწმობების და სამუშაო ვიზების გაცემა.

8. გამოცხადდება ადმინისტრაციული ჯარიმების (საკატრულო, პარკინგის, უნებართვო მშენებლობის და ა.შ.) საყოველთაო ამნისტია, ჯარიმების ოდენობა შესაბამისობაში მოვა საშუალო ხელფასის ოდენობასთან.

9. საქართველო აღარ დაუშვებს სავალდებულო ვაქცინაციას და არ შეუერთდება ჯანმოს ახალ სავალდებულო დოკუმენტებს;
10. მინიმალური პენსია გახდება პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების 10% (825 ლარი), ნაცვლად დღეს არსებული 5%-სა.

ანალოგიური პრინციპით უნდა განისაზღვრო საჯარო მოსამსახურეების ხელფასებიც. გაუქმდება აბსოლუტურად ყველა სიპი და სახელმწიფო აიპ, გაუქმდება „ლამის შოუს“ და სხვა კარის მომღერლების შენახვის ხარჯები და გამოთავისუფლებული ხარჯები მიემართება ამ და სხვა პროგრამების შესრულებისაკენ.

- საშინაო პოლიტიკა -

11. საჯარო სამსახური, პირველ რიგში სასამართლო სისტემა და პროკურატურა გაიწმინდება „ქოცებისა“ და „ნაცების“ პარტ-აქტივისაგან (ე.წ. „მურუსიძის კლანი“ და სხვ).
12. პარტიებს საარჩევნო კამპანიაში აეკრძალებათ 100.000 ლარზე მეტის დახარჯვა, ყველა ტელევიზიას საარჩევნო კანონით დაევალება ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბრად გაშუქება.
13. თანამდებობის პირებმა უნდა დაასაბუთონ საკუთარი შემოსავლის წყარო, ყველაფერი რაც ვერ იქნება დასაბუთებული ჩამორთმეული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.
14. სახელმწიფომ გამოიძიებს 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალებას და მისი თანმდევი სისხლიანი რეპრესიები, მათ შორის პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობა.